0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან

ელზა აშიროვა
თელავის მუნიციპალიტეტის
სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლა
E-mail: elza.ashirova@gmail.com

რეფერატი

სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან ითვალისწინებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა საზროვნო, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, აგრეთვე ცოდნის გაღრმავებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აზერბაიჯანელ მოსწავლეებში ქართული ენისადმი ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება, ენობრივი ბარიერის დაძლევა და საზოგადოებასთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. სასკოლო განათლება წიგნიერების ძირითადი საფუძველია, შესაბამისად, იგი შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. აზერბაიჯანელ მოსწავლეებს სახელმწიფო ენა ძირითადად სასწავლო პროცესში ესმით. ამიტომ, ქართული ენისა და ლიტერატურის ეფექტიანი სწავლებისთვის აუცილებელია ახალი, რაციონალური გზების, მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება. დაკვირვებამ და სწავლების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას, მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ქართული ენის პოპულარიზაციას და ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას. საკითხი პრაქტიკულად გამოყენებადი და ხელმისაწვდომი იქნება მასწავლებლებისთვის საგნის სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ინტერაქტიული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, პროექტული მეთოდი, ტექნოლოგია.

შესავალი

ეფექტური სწავლება დღეს მოითხოვს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც დაეხმარება მას ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გამკლავებაში. საინტერესოა, როგორ ვახერხებთ აღნიშნულის განხორციელებას ისეთ სკოლებში, სადაც მოსწავლეებს ენობრივი ბარიერი აქვთ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშაობ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯლის საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობენ მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები და სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. გამოცდილებიდან გამომდინარე, უპირველესად აღვნიშნავ, რომ არაქართველი, ამ შემთხვევაში აზერბაიჯანელი, მოსწავლეების ქართულ ენაზე სწავლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო ენის ეფექტურ დაუფლებას.

ამ ეტაპზე არ შევჩერდები სახელმწიფო ენის, ქვეყნის ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის სწავლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. შემოვიფარგლები მხოლოდ ბატონი მიხეილ ჩინჩალაძის ნათქვამით: ,,ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას ქართველებთან ურთიერთობა რომ უფრო მეტად გაუადვილდეს, საჭიროა ქართული ენის დაუფლება... ქართული ენის სწავლებით არაქართველი მოსწავლეები უფრო ახლოს ეცნობიან ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებას, ეთნოგრაფიას; სწავლობენ მათი ნამდვილი სამშობლოს ხალხის კულტურას“ [1].

ძირითადი ნაწილი

ზოგადად, თემში წიგნიერების დაბალი პრიორიტეტულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. შესაბამისად, მასწავლებლის მხრიდან აუცილებელია მაქსიმალური ძალისხმევა შედეგზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ახალი მიდგომებისა და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სასწავლო პროცესში ზრდის მოსწავლეთა (ამ შემთხვევაში აზერბაიჯანელ მოსწავლეთა) მოტივაციას და უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ჩართულობას, რაც, თავის მხრივ, უკეთესი განათლების მიღების საფუძველს წარმოადგენს.

თემატური პოსტერები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პრეზენტაცია, ნაწარმოების ინსცენირება, ტექსტის კითხვა-გააზრება, ტექნოლოგიების სისტემატური და მიზნობრივი გამოყენება, ასევე პროექტებზე მუშაობა წარმოადგენს იმ მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრის, ტექნოლოგიური, შემოქმედებითი და გააზრებული უნარ-ჩვევების განვითარებას. ყოველივე ეს წარმოადგენს ენობრივი ბარიერის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

,,შესაძლოა დღევანდელი რომელიმე პედაგოგიური დებულება ხვალ უარყოფილ იქნას, მაგრამ პედაგოგიკაში მოიძებნება ისეთი ჭეშმარიტებანი, რომელიც არასდროს შეირყევიან...“ [2] ერთ-ერთი ასეთი ჭეშმარიტებაა გამოყენება/შექმნა თემატური პოსტერისა როგორც დაწყებით, ასევე მაღალ კლასებში (მაგალითად, სიუჟეტის მიხედვით ამბის შედგენა/თხრობა).

,,საუბრის დროს უთუოდ თვალწინ უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს ან საგნები, რომლებზედაც არის ლაპარაკი და ან მათი სურათები. უამისოდ სასაუბროები მეათედ სარგებლობასაც არ მოუტანენ ბავშვსა“ [3] - აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი.

პოსტერების გამოყენება მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრების, კრიტიკული აზროვნების და ზეპირიმეტყველების განვითარებისთვის. იგი განამტკიცებს ყურადღებას, აძლიერებს მოტივაციას და დამახსოვრების უნარს. ,,სწავლების უმთავრესი ამოცანა მოსწავლეთა ყურადღების აღზრდაში მდგომარეობს, მათ მიჩვევაში, რომ საჭიროების დროს გონება მიაპყრონ გაკვეთილზე შესასწავლ საგანს“ [1].

საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად ვიყენებთ აგრეთვე დაწყებითი განათლების (G-PriEd) პროექტის ფარგლებში სკოლაში არსებულ პოსტერებს. მოსწავლეები თავადაც ქმნიან მათ. მაგალითად, ქართული ენის გაკვეთილზე შეჯამების მიზნით შექმნეს პოსტერი მეტყველების ნაწილების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია პოსტერების შექმნა და გამოყენება პროექტებისა და პრეზენტაციების წარდგენისას. საინტერესო იყო მოსწავლეების მიერ ქართული ენის დღესთან და ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ თემებზე შექმნილი პოსტერები. აღნიშნული აქტივობების დაწყებამდე მოსწავლეებს, ბუნებრივია, ვაძლევ შესაბამის რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს ეფექტურ პოსტერს.

სასწავლო პროცესში ერთ-ერთი წარმატებული მეთოდია ჯგუფური მუშაობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობის, პასუხისმგებლობისა და გუნდურობის უნარის განვითარებას. გარდა სხვა შემთხვევებისა, ჯგუფურ სამუშაოს ვატარებ ვრცელი ნაწარმოებების სწავლებისას „ჯიგსოუს“ მეთოდით (ჯგუფის თითოეული წევრისთვის შესასწავლი მასალის დაყოფა-განაწილება და მათ მიერ თანამიმდევრობით გადმოცემა), რაც სხვა უნარებთან ერთად, დროის ეფექტურად გამოყენებაში მეხმარება (მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნების“, კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენას“ სწავლებისას და სხვ.). მოსწავლეებთან ისევ და ისევ თანამშრომლობითი მიდგომა მთავარი განმსაზღვრელია მათი აზრის, ჩანაფიქრის თავისუფლად ასახვა-გადმოცემაში, რაც განსაკუთრებით გამოიხატება პრეზენტაციის და დისკუსიის დროს.

პრეზენტაცია, ვფიქრობ, ყველა მიზანშეწონილ თემაზე შეიძლება მომზადდეს. ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში განსაკუთრებით საინტერესო იყო მოსწავლეთა პრეზენტაციები ,,ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას. კითხვა ასეთი იყო - როგორ გამოიყენებენ დღეს შოთა რუსთაველის აფორიზმებს: ,,რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია“? ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. როგორც აღვნიშნე, სააზროვნო უნარებისა და ზეპირმეტყველების განვითარებისთვის პრეზენტაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია დისკუსიის გამოყენება, რაც იწვევს მოსწავლეთა გააქტიურებას, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ მსჯელობას. პრეზენტაცია-დისკუსიის დროს აუცილებელია მოსწავლეებმა სიღრმისეულად შეისწავლონ და გააცნობიერონ სადისკუსიო მასალა. რიგ შემთხვევებში, დისკუსიის დროს აღინიშნება მოსწავლეთა მიერ დაშვებული სხვადასხვა სახის შეცდომა მათ შორის, გრამატიკული (ხშირად ზმნის პირთან დაკავშირებით). ასეთ შემთხვევაში სასურველია, დავაფიქსიროთ, თუ რა სახის შეცდომებს უშვებს მოსწავლე და სათანადოდ დავეხმაროთ მას.

განსხვავებულ თემაზე აზრისა და იდეის ნათლად და მკაფიოდ გადმოსაცემად თანამედროვე სტრატეგიებიდან მნიშვნელოვანია ესეს შექმნა, რომელიც ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას, საკითხის სხვადასხვა კუთხით გაანალიზებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. ესეს წერას, ბუნებრივია, წინ უსწრებს მისი სტრუქტურის გაცნობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა. დასაწყისში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სირთულეებს აწყდება ქართული ლექსიკური მარაგის სიმცირისა და ენობრივი ბარიერის გამო, თუმცა ძირითადად ისინი დავალებას დამაკმაყოფილებლად ართმევენ თავს და ზოგჯერ ავლენენ შემოქმედებითი უნარების მეტად წარმოჩენის მცდელობასაც. ამ პროცესში ვიყენებ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. სწავლებაში მნიშვნელოვნად მიმაჩნია კონსტრუქტივისტული მეთოდის გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას და აზრების თავისუფლად გადმოცემას. არაქართველი მოსწავლეებისთვის ასევე ეფექტურია სასწავლო პროექტებზე მუშაობა მათი აქტიური ჩართულობით. სხვადასხვა სახის პროექტებთან ერთად, სასწავლო წლის ბოლოს კლასგარეშე სამუშაოს სახით ვახდენ შესწავლილი მასალის დემონსტრირებას (მხედველობაში მაქვს ქართველი

კლასიკოსების - შოთას, ვაჟას, ილიას... თხზულებანი). ,,კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა თავისი მრავალფეროვანი სახეებით მოსწავლეთა იდეურ-აღმზრდელობითი და სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია“ [5].

სასკოლო პროექტის განხორციელებას წინ უსწრებს ეტაპობრივი სამუშაოები:

- საჭიროების დადგენა;
- თემის არჩევა მოსწავლეებთან ერთად;
- შეხვედრები შესაბამის კათედრებთან - იდეის გაზიარება;
- შეხვედრა მშობლებთან;
- ფუნქციების განაწილება:
- ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულება;
- მოსაწვევების დამზადება/მოწვევა (საჭიროებისამებრ);
- გამოსვლა აუდიტორიის წინაშე.

ნაწარმოების ინსცენირება სწავლების მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მოვლენების სიღრმისეულად და მრავალმხრივად აღქმას, ამასთანავე, საკითხის მარტივად ათვისებასა და უკეთ გაცნობიერებას, მასალის დიდხანს დამახსოვრების უნარს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე ფართომასშტაბიანი აუდიტორიისთვის, როგორც პროექტის ერთ-ერთი სახე. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ ილიას შემოქმედების სწავლებისას ჩვენ მიერ განხორციელებულ სასკოლო პროექტს - ილია ჩვენთან.

პროექტის სახელწოდება: ილია ჩვენთან.

პროექტის იდეა: ილია ჭავჭავაძეზე და მის შემოქმედებაზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და პოპულარიზაცია. ილიას ნაწარმოებებიდან ნაწყვეტების ინსცენირება, პერსონაჟების განსახიერება. სხვა სკოლის მოსწავლეებთან თანამშრომლობა. მშობლების ჩართვა სკოლის ცხოვრებაში.

პროექტის აქტუალურობა: ილია თავისი შემოქმედებით მუდამ პოპულარული და აქტუალურია. მან, როგორც ქართული ენის დამცველმა და ქართული დამწერლობის რეფორმატორმა, მოსწავლეებში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია და სურვილი გამოთქვეს, გაეცოცხლებინათ ილიას პერსონაჟები და ნაწარმოებები წარმოედგინათ თეატრალურად.

პროექტის მიზანი: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, მათი ჩართულობა, ილიასა და მის ნაწარმოებებზე ცოდნის დონის განვითარება, ტექსტის ხანგრძლივი დროით დამახსოვრება, მოსწავლეებში მოძიების, ანალიზის, აზროვნების, შემოქმედებითი, ასევე მიღებული ცოდნის ტრანსფერის უნარის განვითარება, თანამშრომლობითი სწავლება, შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე მოსწავლის ჩართვა თანატოლებთან ერთად საგანმანათლებლო სივრცეში, სხვა სკოლის ბავშვებთან კომუნიკაცია, ენობრივი ბარიერის დაძლევა, მშობელთა ჩართვა სკოლის ცხოვრებაში.

კლასი: VIII – XI კლასის მოსწავლეები.

პროექტის ხანგრძლივობა: ერთი თვე.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეები სიღრმისეულად გაეცნენ ილიას ცხოვრებას და მის შემოქმედებას. მათ გააცნობიერეს მწერლის პატრიოტული სულისკვეთება, მისი შემოქმედების სიბრძნე და უკვდავება. მოსწავლეებს არასდროს ავიწყდებათ ინსცენირებული ნაწარმოებები. მათ შეუძლიათ ინფორმაციის მოძიება, სლაიდების შექმნა, კოსტიუმების, დეკორაციების დამოუკიდებლად დამზადება. ისინი ამაყობენ თავიანთი მსახიობური ნიჭით, გაუმჯობესდა მოსწავლეთა მეტყველება ქართულ ენაზე, მოსწავლე თავს სრულფასოვნად გრძნობს. მშობლები, ისევე როგორც მათი შვილები, თანამონაწილენი ხდებიან პროექტის განხორციელებაში.

პროექტისთვის საჭირო რესურსები: სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, ინტერნეტი, პროექტორი, დეკორაციები, კოსტიუმები, მოსაწვევი ბარათები.

პროექტის მსვლელობა/ძირითადი აქტივობები:

- შეხვედრა მშობლებთან, მოსწავლეებთან;
- მოსწავლეების მიერ ილიას შესახებ ინფორმაციის მოძიება - სლაიდების მომზადება;
- ჯგუფების შექმნა (ოთხი ჯგუფი), ნაწარმოებების განაწილება. შერჩეული ნაწარმოებების სიღრმისეული დასწავლა. ჯგუფებთან შეხვედრების განრიგის განსაზღვრა;
- დაგეგმილი განრიგის მიხედვით შეხვედრა ჯგუფებთან, რეპეტიცია;
- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა-შექმნა;
- მოსაწვევების დამზადება და სტუმრების მოწვევა; მათ შორის - მეზობელი სკოლის მოსწავლეების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის;
- მოსწავლეთა გამოსვლა აუდიტორიის წინაშე - ნაწარმოებებიდან მომზადებული ნაწყვეტების ინსცენირება.
- ტრადიციულად სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმში ასახული მაქვს განსახორციელებელი (ან შესასრულებელი) პროექტების შესახებ.

ტექნოლოგიის განვითარებამ საგრძნობლად შეცვალა და გააძლიერა განათლების ხარისხი. მოხდა ძირეული გარდატეხა სწავლა-სწავლებაში. ხელმისაწვდომი გახდა მრავალფეროვანი რესურსები და თანამედროვე საგანმანათლებლო ინსტრუმენტები, რამაც გარკვეულწილად მოხსნა სიძნელეები ცოდნის დასაუფლებლად. თანამედროვე სწავლება თითქმის შეუძლებელი გახდა ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. სასწავლო პროცესი ნაყოფიერი და სახალისო გახდა, რამაც მოსწავლეთა გააქტიურება და მეტი დაინტერესება გამოიწვია. ,,სადაც არ არის ინტერესი, იქ ყურადღების კარები დახშულია და მასთან ერთად ცნობიერების ბჭენიც“ - აღნიშნავს დიმიტრი უზნაძე [6].

საკმაოდ ნაყოფიერია ტექნოლოგიების გამოყენება ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მოსწავლეთა ქართული ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და ზეპირმეტყველების განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტია ეკრანის გამოყენება როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ყარაჯლის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ ტექნოლოგიური საშუალებების (ტელევიზორი, პროექტორი) სისტემატური და მიზნობრივი გამოყენება საგრძნობლად აუმჯობესებს მოსწავლეთა ქართულ ზეპირმეტყველებას. ქართული ენის უკეთ შესასწავლად, ასევე ქართული აზროვნებისა და ცნობიერების განვითარებისთვის, საგაკვეთილო პროცესის გარდა, არაფორმალურ შეხვედრებზე ვაწყობთ ქართული ფილმების ჩვენებასა და განხილვას. ასევე ვახორციელებთ ფილმისა და ტექსტის შედარება-შეპირისპირებას (მაგალითად, მ. ჯავახიშვილის ,,მიწის ყივილი“ - გ. მგელაძის ,,ფესვები“).

მოსწავლეთა ცოდნის გადამოწმების მიზნით სახალისოა ელექტროკითხვარებზე, ქვიზებზე მუშაობა, როგორც ენის ასევე ლიტერატურის გაკვეთილზე. მათ დაინტერესებას იწვევს აგრეთვე, ელექტრორესურსის მათ შორის, ელექტროწიგნის შექმნა, რისთვისაც ვიყენებთ https://bookcreator.com პროგრამას. მაგალითად, აფორიზმები ,,ვეფხისტყაოსანში“, ასევე, „გამონათქვამები ქართული ენის შესახებ“, რომელშიც განთავსებულია ცნობილი ადამიანების მოსაზრებები.

ვფიქრობ, ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს არაქართველ მოსწავლეებში ეფექტურ სწავლებას, ქართული ენის პოპულარიზაციას, ასევე, მრავალმხრივი უნარების განვითარებას, ენობრივი ბარიერის დაძლევასა და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებასთან.

დასკვნა

სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება აზერბაიჯანელ მოსწავლეებთან მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და აუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. კვლევის და პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინტერაქტიული მეთოდების - როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, პრეზენტაცია, პოსტერების შექმნა, ინსცენირება და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება - სისტემატური გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას და მათ აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

ასევე ნათლად გამოვლინდა, რომ ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებას, ლექსიკურ მარაგს და ქართული ენის პრაქტიკულ გამოყენებას. მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ აღნიშნული მეთოდები ხელს უწყობს ენობრივი ბარიერის ეტაპობრივ დაძლევას და მოსწავლეთა სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

შესაბამისად, მიღებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული სწავლების სტრატეგიების სისტემური გამოყენება აუცილებელი პირობაა არაქართულენოვან კლასებში ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად.

ლიტერატურა

1. მ. ჩინჩალაძე, ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის არაქართულ სკოლებში. 1950.
2. ვ. ჯაფარიძე, ი. ზედგენიძე, პედაგოგიური კითხვების გარშემო, თბილისი, 1915.
3. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 5, გვ.107, თბ. 1961.
4. ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 8.
5. ა. თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1974 წ.
6. დ. უზნაძე, ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი 1912.

Modern methods and approaches to teaching Azerbaijani students

Elza Ashirova

Abstract

Modern teaching methods and approaches used with Azerbaijani students aim to improve the quality of teaching and learning, develop students' cognitive, critical, and creative skills, and deepen their knowledge of the Georgian language and literature. Raising interest and motivation toward the Georgian language among Azerbaijani students, overcoming language barriers, and promoting social integration are among the most important issues. School education is the fundamental basis of literacy; therefore, it should be results-oriented. Azerbaijani students mainly encounter the state language within the learning process. For this reason, the effective teaching of the Georgian language and literature requires the use of new, rational methods and strategies. Observation and analysis of teaching outcomes have shown that the use of diverse methods and strategies contributes to the development of students' thinking skills, their active engagement in the learning process, the promotion of the Georgian language, and the achievement of national educational goals. This issue is practically applicable and accessible for teachers in the process of subject instruction.

Keywords: interactive teaching, group work, presentation, project-based method, technology.